

პროექტი „დავიცვათ საქართველოს სისუფთავე“

ესეების III კონკურსი, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის გარემოს დაცვით საკითხებზე, დაიწყო!

საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი“, შვედეთის მთავრობის ფინანსური უზრუნველყოფით, პროექტის „დავიცვათ საქართველოს სისუფთავე“ ფარგლებში, აცხადებს ესეების კონკურსს თემაზე „**ბიომრავალფეროვნების დაცვა და ასოცირების შეთანხმება**“, რომელიც მიზნად ისახავს, ახალგაზრდების თვალთ დასახული, გარემოს დაცვის საკითხების და მდგრადი განვითარების მიზნების პოპულარიზაციას და მათი ჩართულობის გაზრდას.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს.

ესეების წარმოდგენის ბოლო ვადაა 2021 წლის 30 ივნისი, 18.00 საათი, ხოლო გამარჯვებულების ვინაობა 2021 წლის 3 აგვისტოს გახდება ცნობილი. ესეი უნდა შეადგენდეს 5-7 გვერდს.

კონკურსის ფარგლებში გამოვლინდება 2 გამარჯვებული (I და II) თითოეულ თემაზე, რომელთაც გადაეცემათ ფულადი ჯილდო 500 და 400 ლარის ოდენობით.

ესეების სათაურებია

„ასოცირების შეთანხმების როლი და მნიშვნელობა ბიომრავალფეროვნების დაცვის კუთხით“

ან

„ასოცირების შეთანხმების აღსრულების მიზნით ბიომრავალფეროვნების დაცვა-შენარჩუნების პრიორიტეტული მიმართულებების და ქმედებების იდენტიფიკაცია 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმაში ასასახად“

ესეში **„ასოცირების შეთანხმების როლი და მნიშვნელობა ბიომრავალფეროვნების დაცვის კუთხით“** უნდა აღიწეროს ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრული ვალდებულებების (ან რომელიმე კონკრეტული ვალდებულების) შესრულების შედეგად ბიომრავალფეროვნების, ან/და ეკოსისტემური მომსახურებების დაცვა-შენარჩუნების კუთხით მიღებული, ან/და მოსალოდნელი სარგებელი. მსჯელობა და დასკვნები უნდა ეფუძნებოდეს განსახილველ სფეროში არსებული ვითარების მიმოხილვას. სასურველია მოცემული იყოს სამომავლოდ განსახორციელებელი რეკომენდებული ქმედებების შესახებ ინფორმაცია. ამ კუთხით მისასალმებელია საკუთარი ორიგინალური ხედვის შემოთავაზება.

ესეში **„ასოცირების შეთანხმების აღსრულების მიზნით ბიომრავალფეროვნების დაცვა-შენარჩუნების პრიორიტეტული მიმართულებების და ქმედებების იდენტიფიკაცია 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმაში ასასახად“** უნდა აღიწეროს ასოცირების შეთანხმების აღსრულების მექანიზმების შესახებ ინფორმაცია. გადმოცემული უნდა იყოს პრიორიტეტული მიმართულებები და ქმედებები,

რომლებიც ხელს უწყობს შეთანხმების აღსრულებას, ბიომრავალფეროვნების დაცვა-შენარჩუნების კუთხით, ან შემოთავაზებული და დასაბუთებული უნდა იყოს ახალი მიმართულებები და ქმედებები, რომელთა იმპლემენტაციით გაიზრდება შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებების აღსრულების ეფექტურობა. ამ კუთხით მისასაღმებელია საკუთარი ორიგინალური ხედვის შემოთავაზება.

თემა მოიცავს შემდეგ კონტექსტს:

2014 წლის 27 ივნისს, ბრიუსელში, ხელი მოეწერა „ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ“ შეთანხმებას, რომელიც მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) კომპონენტს.

ევროპარლამენტმა 2014 წლის 18 დეკემბერს სტრასბურგში მხარი დაუჭირა ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების რატიფიცირებას, რომელიც ასევე მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებას.

საქართველოს პარლამენტმა დოკუმენტის რატიფიცირება 2014 წლის 17 ივლისს განახორციელა. რატიფიკაციის პროცესის დასრულებამდე მხარეების მიერ მიმდინარეობდა შეთანხმების იმ დებულებების განხორციელება, რომლებიც ევროკავშირის ექსკლუზიური კომპეტენციის სფეროს განეკუთვნება.

2014 წლის ივნისში, საქართველო და ევროკავშირი შეთანხმდნენ ასოცირების დღის წესრიგზე, რომელიც ადგენს საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებითა და მისი ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის კომპონენტით გათვალისწინებული ვალდებულებების განხორციელების პრიორიტეტებს კონკრეტული პერიოდისთვის (3-4 წელი).

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელებისთვის საქართველოს მთავრობა განკარგულებით ამტკიცებს ყოველწლიურ ეროვნულ სამოქმედო გეგმას.

ასოცირების შეთანხმების ფარგლებში ამოქმედდა ურთიერთანამშრომლობის ახალი ინსტიტუტები - ასოცირების საბჭო, ასოცირების კომიტეტი და დარგობრივი ქვეკომიტეტები.

ასოცირების შესახებ შეთანხმება ძალაში სრულად 2016 წლის 1 ივლისს შევიდა.

შეთანხმება ითვალისწინებს შესასრულებლად სავალდებულო სამართლებრივ დებულებებს და გაძლიერებულ თანამშრომლობას, რომელიც სცდება ტრადიციულ შეთანხმებათა მასშტაბებს და ვრცელდება ინტერესთა ყველა სფეროზე.

ბიომრავალფეროვნების დაცვის სფეროდან ასოცირების შეთანხმება მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან ასპექტებს, როგორცაა:

საქართველოს სამართლებრივი სივრცის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოვება. ამ მიმართულებით აღნიშნულია გარემოზე ზემოქმედების შეფასების, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების, გარემოსდაცვითი ზიანთან დაკავშირებული პასუხისმგებლობის შესახებ სამართლებრივი ნორმების შემოღების აუცილებლობის თაობაზე. ეს კანონმდებლობა, რომლის დიდი ნაწილი საქართველოს მიერ უკვე მიღებულია, მნიშვნელოვანწილად უზრუნველყოფს ბიომრავალფეროვნების დაცვასაც, რადგან მოიცავს ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შეფასებისა და აქედან გამომდინარე საჭირო პრევენციული ზომების

გატარების ასპექტებს, ასევე ზიანის მიყენებისას ადექვატური პასუხიმგებლობის ზომების გატარების ვალდებულებას. ამასთან, ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრულია ბიომრავალფეროვნების დაცვის კონკრეტული ქმედებების, მათ შორის კანონმდებლობის დაახლოვების მოთხოვნაც, როგორცაა მაგალითად ბიომრავალფეროვნების შესახებ საქართველოს კანონი. მისი შემუშავების საჭიროება გამოწვეულია ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული დირექტივების, ასევე სხვადასხვა საერთაშორისო შეთანხმებებით გათვალისწინებული ვალდებულებების ეროვნულ კანონმდებლობაში ასახვის აუცილებლობით. ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული დირექტივები მოიცავს 2009 წლის 30 ნოემბრის 2009/147/EC დირექტივას გარეული ფრინველების კონსერვაციის შესახებ და 1992 წლის 21 მაისის 92/43/EC დირექტივას ბუნებრივი ჰაბიტატებისა და ველური ფაუნისა და ფლორის კონსერვაციის შესახებ. კანონპროექტი ჯერ-ჯერობით არ არის მიღებული;

სახეობებისა და ჰაბიტატების დაცვა, რასაც ემსახურება ასევე ზურმუხტის ქსელის განვითარება საქართველოში, ბერნის კონვენციის შესაბამისად. ამჟამად საქართველოში არის 46 დამტკიცებული, 4 კანდიდატი და 15 შეთავაზებული ზურმუხტის ტერიტორია;

საერთაშორისო თანამშრომლობას თევზჭერის, განსაკუთრებით შავ ზღვაში თევზჭერის სფეროში. ასოცირების შეთანხმების 234 მუხლის დებულებებით განსაზღვრული ვალდებულებების თანახმად, აქტიური თანამშრომლობა მიმდინდარეობს სურსათისა და სოფლის მეურნეობის საერთაშორისო ორგანიზაციის (FAO) რეგიონული თევზჭერის ორგანიზაციასთან (RFMO) - ხმელთაშუა ზღვის თევზჭერის გენერალურ კომისიასთან (GFCM). ამ ორგანიზაციის ტექნიკური დახმარებით მრავალი აქტივობა (მათ შორის კვლევები) განხორციელდა, მათ შორის შემუშავდა აკვაკულტურის შესახებ საქართველოს კანონი, რომელიც ქვეყანაში მდგრადი აკვაკულტურის განვითარების საწინდარს წარმოადგენს და რომლის დებულებები თანხვედრაშია ევროკავშირის სტანდარტებთან და მოთხოვნებთან; და სხვა.

ესეები გადმოაგზავნეთ ელ. ფოსტის მისამართზე: orchisge@yahoo.com და მიუთითეთ თქვენი საკონტაქტო ინფორმაცია, უმაღლესი სასწავლებლის დასახელება სადაც სწავლობთ, ფაკულტეტი და კურსი. ნაშრომის გადმოგზავნის შემდეგ დაელოდეთ ჩვენგან ესეის მიღების დადასტურების შეტყობინებას.

გისურვებთ წარმატებებს!

პროექტს „დავიცვათ საქართველოს სისუფთავე“ ახორციელებს არასამთავრობო ორგანიზაციათა კონსორციუმი: საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი“, დავიცვათ საქართველოს სისუფთავე და საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო, შვედეთის მთავრობის ფინანსური უზრუნველყოფით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით,

საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიასთან და გარემოსდაცვითი საინფორმაციო და განათლების ცენტრთან თანამშრომლობით.

ტაშკენტის ქ.10ა, 0160, თბილისი , საქართველო

ტელ: (+995 32) 2385199; მობ.: (+ 995 595) 335699

ელ. ფოსტა: orchisge@yahoo.com

ვებ-გვერდი: <http://www.orkisi.ge>

Keep Georgia Tidy Project

3rd Essay Competition for High School Students on Environmental Issues launched!

With the financial support of the Government of Sweden and in the frames of the Keep Georgia Tidy Project, Georgian Society of Nature Explorers “Orchis” announces an Essay Competition on the theme of **“Biodiversity Protection and Association Agreement”** which aims to promote environmental protection and the Sustainable Development Goals as they are perceived by the youth and to increase their engagement.

The Competition is open to students of high schools.

The deadline for the submission of essays is June 30, 2021, 18:00. The winner will be known on 3 August 2021. Essays should comprise 5-7 pages.

Two winners (I and II) will be identified per theme in the frames of the Competition, which will be granted a monetary award comprising 500 GEL and 400 GEL respectively.

The headline of the essays are:

“The Role and Significance of the Association Agreement for Biodiversity Protection”

Or

“Identification of Priority Directions and Actions for Biodiversity Protection and Preservation that should be Reflected in 2021-2023 Action Plan to Fulfil Association Agreement”

The essay **“The Role and Significance of the Association Agreement for Biodiversity Protection”** shall describe benefits that have been obtained and/or are expected in terms of the protection and preservation of biological diversity and/or ecosystem services thanks to the fulfilment of the commitments (or any specific commitment) defined by the Association Agreement. The discussion and conclusions shall be based on the review of the current situation of the sphere concerned. It is advised to provide recommendations about actions to be implemented in future. Proposing personal original view in this regard is welcomed.

The essay **“Identification of Priority Directions and Actions for Biodiversity Protection and Preservation that should be Reflected in 2021-2023 Action Plan to Fulfil Association Agreement”** shall describe instruments for implementation of the Association Agreement. The priority directions and actions that facilitate fulfilment of the AA in terms of biodiversity protection and preservation shall be depicted, or new directions and actions

which can enable more efficient implementation of the AA commitments shall be suggested and justified. Proposing personal original view in this regard is welcomed.

The theme covers the following context:

“Association Agreement between the European Union and the European Atomic Energy Community and their Member States, of the one part, and Georgia, of the other part” was signed in Brussels on July 27, 2014. It comprises a component of the Deep and Comprehensive Free Trade Area (DCFTA).

The European Parliament endorsed ratification of the EU-Georgia Association Agreement (AA), which also includes the agreement on the Deep and Comprehensive Free Trade on December 18, 2014 in Strasbourg.

The Parliament of Georgia ratified the document on July 17, 2014. The parties were fulfilling those stipulations of the Agreement that are within the exclusive competence of the European Union before completion of the ratification process.

In July 2014, Georgia and EU reached agreement about the Association Agenda, which for a certain period (3-4 years) defines priorities between the commitments taken under the EU-Georgia AA and its DCFTA component.

The Government of Georgia, via order, approves an annual national action plan to ensure implementation of the EU-Georgia AA and Association Agenda.

New cooperation institutions including the Association Board, Association Committee and Sectoral Subcommittees were established in the frames of the AA.

The AA fully entered into force on July 1, 2016.

The AA includes legally binding statements, envisages strengthening of cooperation beyond boundaries of conventional treaties and covers all spheres of the interests.

In terms of biodiversity protection, the AA addresses important aspects such are:

Approximation of Georgian legislation to the EU acquis. The necessity to adopt legal requirements regarding the environmental impact assessment, strategic environmental assessment and liabilities for environmental damage are considered in this context. The mentioned legislation that has been already majorly adopted by Georgia essentially ensures biodiversity protection, because they require the assessment of impacts on biological diversity and respectively aspects related to necessary preventive measures as well as adequate liabilities for damages caused. In addition, the AA defines specific actions for biodiversity protection, including the approximation to the EU acquis, e.g. adoption of the Law of Georgia on Biological Diversity. The preparation of this law is necessary to ensure that Georgian legislation reflects the directives and different international treaties indicated in the EU-Georgia AA. Among directives mentioned in the AA are: Directive 2009/147/EC of 30 November 2009 on the Conservation of Wild Birds and Directive 92/43/EC of 21 May 1992 on the Conservation of Natural Habitats and of Wild Fauna and Flora. This draft law is not adopted yet;

Protection of species and habitats in order to develop the Emerald Network in Georgia according to the Bern Convention. Currently there are 46 designated, 4 candidate and 15 proposed emerald sites in Georgia;

International cooperation in the field of fishing and especially fishing in the Black Sea. According commitments defined by Article 234 of the AA, active cooperation is established with the General Fisheries Commission for the Mediterranean Regional (GFCM) of the Fisheries Management Organisation (RFMO) of the Food and Agriculture Organisation (FAO). Many activities (among them studies) were implemented through technical support of this organization including drafting of the Law of Georgia on Aquaculture in line with EU standards and requirements which is a precondition for the sustainable development of aquaculture in the country; and others.

Please send your essays on the following e-mail address: orchisge@yahoo.com indicating your contact information as well as the name of your high school. After sending of the essay, please wait for our confirmation of its receipt.

Good luck!

“Keep Georgia Tidy“ Project is being implemented by the NGO Consortium: Georgian Society of Nature Explorers “Orchis”, Keep Georgia Tidy and Greens Movement of Georgia/Friends of the Earth Georgia through funding of the Government of Sweden, with support of Georgian Ministries of Environmental Protection & Agriculture, Regional Development & Infrastructure, and Education, Science, Culture & Sport, and in cooperation with the Solid Waste Management Company of Georgia and Environmental information & Education Centre.

10a Tashkenti St., 0160, Tbilisi, Georgia

Tel: (+995 32) 2385199; mob: (+ 995 595) 335699

E-mail: orchisge@yahoo.com

web-page: <http://www.orkisi.ge>